# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 47

ქალაქი ქუთაისი 10 დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $2^2$ პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2025 წლის 10 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-5 სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **იოსებ კუჭავას** გამოყვანის, ამ კომისიაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების ხელახლა წარდგენისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **იოსებ კუჭავას** წარდგენის გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“.

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №16 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია** შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 47
„10“ 12 2025 წ.

1. **იობაშვილი გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **კოსტავა მაგდა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **ჭიღვარია გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
4. **თამაზაშვილი ალეკო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
5. **კოპალეიშვილი ამირანი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
6. **ნიჟარაძე მარეხი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
7. **გვენეტაძე ლაშა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
8. **ფხაკაძე კობა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
9. **სინაურიძე მამუკა,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ მიერ;
10. **კუჭავა იოსები,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ;
11. **მებურიშვილი თეკლა,** რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.“.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია